

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 200 დღის ანგარიში

მოგესალმებით პატივცემულო რუსთაველებო, მოწვეულო სტუმრებო.

პირველ რიგში მადლობამინდა, გადაგიხადოთ იმდენი ნდობისთვის, რაც თქვენ გამოხატეთ ჩვენი გუნდის მიმართ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. მე და ჩემს გუნდს ბოლომდე გვაქვს გათავისებული უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომელიც ხალხმა დაგვაკისრა. გპირდებით, რომ ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში, ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ იმისათვის, რომ რუსთავი გახდეს ძლიერი თვითმმართველი ქალაქი, ძლიერი საქართველოსთვის.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო არ არის გასული, რაც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვარ, ვგრძნობ ვალდებულებას ჩვენი ამომრჩევლის წინაშევისაუბრო მათთან ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე და წარმოგიდგინთ გაწეული მუშაობის ანგარიში.

დროებითი სამუშაო ჯგუფები და დარგობრივი კომისიები

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს 6 ფრაქცია, 5 დარგობრივი კომისია და 5 დროებითი სამუშაო ჯგუფი. მე ცხადია აქტიურად ვარ ჩართული თითოეული მათგანის მუშაობაში და ჩვენ ერთად ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ სიკეთე საზოგადოებისთვის ხელშესახები იყოს.

ამ პერიოდის განმავლობაში გაიმართა

1. სამანდატო საპროცედურო და ეთიკის კომისიის 16 სხდომა
2. სოციალურ საკითხთა კომისიის 5 სხდომა
3. ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის 10 სხდომა
4. ქონების მართვის საკითხთა კომისიის 13 სხდომა
5. საფინანსო, საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 18 სხდომა
6. ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის 3 სხდომა
7. სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის 5 სხდომა
8. საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის 1 სხდომა
9. ფრაქცია „ქართული ოცნება“ – 2 სხდომა
10. ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ - 3 სხდომა

11. ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ – 1 სხდომა
12. ფრაქცია „ქართული ოცნება მწვანეები“ – 1 სხდომა
13. ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 1 სხდომა

საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივები

იმისათვის, რომ საკრებულოს საქმიანობა იყოს უფრო ნაყოფიერი და თითოეული წევრი იყოს მუდამ მობილიზებული, ყოველი თვის პირველ და მესამე ხუთშაბათს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში ვატარებთ უმრავლესობის სხდომებს, ხოლო მეორე და მეოთხე ხუთშაბათს, მაჟორიტარ დეპუტატებთან სამუშაო თათბირს, სადაც განვიხილავთ ყველა იმ საჭირობო რეკომენდაციას და მიმდინარე საკითხებს, რომელიც გვიდგას დღის წესრიგში. სხდომაზე განიხილება საკრებულოს წევრების მოსახლეობები და ინიციატივები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან სამუშაო შეხვედრაზე ინდივიდუალურად და სახელობითად ვმსჯელობთ ყველა იმ პრობლემაზე, რომელსაც მოსახლეობა შეხვედრების დროს გვაწვდის. ამ პროცესში ჩართულები არიან მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი პირები და აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქ რუსთავის მერს ბატონ ირაკლი ტაბაღუას და მთელ მის გუნდს ნაყოფიერი ურთიერთანამშრომლობისთვის.

ახლა მინდა გაგაცნოთ ჩემი ინიციატივები, რომლებიც უკვე საკრებულოს მუშაობის ყოველდღიურობად იქცა.

ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს, მე ჩემს სამუშაო კაბინეტში, ხოლო მაჟორიტარი დეპუტატები მერის წარმომადგენლების ოფისებში, აწარმოებენ მოქალაქეებთან შეხვედრებს, სადაც ვეცნობით მათ პრობლემებს და შემდეგ ერთობლივად, შესაბამის სამსახურებთან ერთად ვსახავეთ მათი გადაწყვეტის გზებს.

ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად, მეც ვაწყობ ვასვლით შეხვედრებს, რაც ემსახურება ჩვენი თანაქალაქელებისათვის აქტუალური საკითხების ადგილზე გაცნობას, ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, ურბანული, დასაქმების და სხვა პრობლემების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით და მათზე შემდგომ რეაგირებას, რასაც აქვს სისტემატური ხასიათი. სტატისტიკისთვის, მინდა მოგახსენოთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში ჩემს სამუშაო კაბინეტში შევხვდი 100-ზე მეტ მოქალაქეს და მქონდა 70-ზე მეტი ვასვლითი შეხვედრა. რასაკვირველია, ეს არ არის საკმარისი და დიდი

სურვილი მაქვს, მოვახერხო იმდენი, რომ ჩვენ ქალაქში მაცხოვრებელი თითოეული ადამიანის პრობლემები შევისწავლო და მაქსიმალურად დავეხმარო, მათ გადაწვეტაში.

საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე შემოსულია **441** განცხადება. განცხადებებზე, კომპეტენციის ფარგლებში მოხდა სათანადო რეაგირება. უმეტესი ნაწილი, ჩვენი შუამდგომლობის შედეგად დაკმაყოფილდა, ნაწილზე კი მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც პირად კონტროლზე მაქვს აყვანილი.

ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქოსექტორთან თანამშრომლობა. ღია მმართველობა და გამჭვირვალობა არის ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი, ამიტომ, გადავწყვიტეთ მოგვეფიქრებინა ურთიერთთანამშრომლობის ისეთი ფორმა, რომელიც იქნებოდა გარანტისაზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკისა. ჩვენ გვყავს რუსთავში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ჩართულია მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში. მათთან ერთად აქტიურად ვიმუშავეთ 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებაზეც. საკრებულოს მხრიდან საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში ჩართულია ჩემი მოადგილე, ქალბატონი ნინო ქავთარაძე, რომელსაც არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, სადაც რუსთავს ქალბატონი ნინო ქავთარაძე წარმოადგენს, მუშაობს თვითმმართველობების გაძლიერებასა და განვითარებაზე, ესარის უმნიშვნელოვანესი პლატფორმა მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარების კუთხით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია დედაქალაქის საკრებულოს საქმიანობის და გამოცდილების გაზიარება, ამიტომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძესთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, გამოვედი ინიციატივით აქტიურ ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით, რაც მოწონებულ იქნა მისი მხრიდან. ვმუშაობთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენი საკრებულოს უფრო ეფექტიან მუშაობას. იგეგმება აქტიური მოლაპარაკებები ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ, ჩვენი სურვილია, რუსთავში მცხოვრებ მასტუდენტებმა, რომლებიც სწავლობენ თბილისსა და რუსთავის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და გამოირჩევიან კარგი აკადემიური მოსწრებით, სპეციალობების მიხედვით, გაიარონ სტაჟირება თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,რათა აიმაღლონ ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ,რაც დამეთანხმებითმნიშვნელოვანია მათი კარიერული წინსვლისა და ასევე ჩვენი ქალაქის საზოგადოების განვითარებისათვის.

აღსანიშნავია ,რომ ა/წ ივნისში, ჩვენმა ქალაქმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ბათუმისა დაქობულეთის მუნიციპალიტეტებთან.ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ქალაქების გამოცდილების გაზიარება ისეთსაკითხებში, როგორცაა: ტურიზმის განვითარება, გარემოს დაცვა,განათლების სფერო, სოციალური მიმართულებები და ბიუჯეტის დაგეგმარება,

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელი არის რუსთავის ქალაქად დაარსების 70-ე წლისთავი. ჩვენი მიზანია, საკრებულო აქტიურად იყოს ჩართული საიუბილეო ინიციატივების განხორციელებაში. ერთ-ერთ მაგალითად შემიძლია დავასახელო სულ რამდენიმე დღის წინ განხორციელებული პროექტი „ქართველი მწერლები ჩვენს ყოველდღიურობაში“, რომლის ფარგლებშიც 72 ლიტერატურული ბანერი განთავსდა შარტავას გამზირზე.

აქვე მინდა აღვნიშნო რომ 2018 წელი არის საქართველოსა და სლოვაკეთის რესპუბლიკას შორის, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25-ე საიუბილეო წელი. გუნდთან კონსულტაციების ფარგლებში, მოწონებული იქნა მოსაზრება, სლოვაკეთთან, კერძოდ ქალაქ ტრნავასთან დამშობილების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს მხარეებს შორის მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.აღნიშნული ქალაქი,მსგავსად ჩვენი რუსთავისა,არის ინდუსტრიული მიმართულების სამრეწველო ქალაქი.დამეგობრების შემდეგ,შევძლებთ გამოცდილებათა გაზიარებას,რაც ბევრ სასიკეთო საქმეს მოუტანს ორივე მხარეს.ჩვენი თხოვნით, მიმდინარე წლის 21 თებერვალს სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი რევაზ გაჩეჩილაძე უკვე შეხვდა ქალაქ ტრნავას მერს, პეტერ ბროჩკას. შეხვედრაზე განხილული იყო რუსთავისა და ქ. ტრნავას დამეგობრების შესაძლებლობები და ორ ქალაქს შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობას. ამ მიზნით შექმნილი გვაქვს გენდერული

თანასწორობის საბჭო, რომელმაც უკვე ჩაატარა 2 სხდომა და რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციაში ვმუშობთ საბჭოს სამოქმედო გეგმაზე, რომლის განხორციელებაც უკვე მომავალ წელს აისახება ჩვენი ბიუჯეტის დაგეგმარებაზე.

მმართველი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი განათლებაა, ამდენად ჩვენ შევიმუშავეთ ქალაქის ინტერესებსა და სპეციფიკაზე ორიენტირებულ სტრატეგია, რომელიც, სკოლამდელ აღზრდას, სასკოლო, ინსტიტუციურ და არაფორმალურ მიმართულებებს მოიცავს. ჩვენ გვქონდა სამუშაო დოკუმენტის განხილვა საკრებულოსა და მერიაში. შემოდგომაზე უკვე დასრულებულ, ოფიციალურ დოკუმენტს წარმოგიდგენთ.

აღნიშნული სტრატეგიიდან გამომდინარე, პროფესიული განათლება, არის ქალაქის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, ჩვენს ქალაქში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებსა და გამოწვევებზე მორგებული პროფესიული სასწავლებელი „მოდუსი“, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით მრავალი მიმართულებით მუშაობს იმისათვის, რომ განათლება მეტად ხელმისაწვდომი და მიზან-შედეგობრივი იყოს. ქობულეთში სამუშაო ვიზიტით ყოფნის დროს, ჩემი ყურადღება მიიქცია პროფესიულმა კოლეჯმა „ახალი ტალღა“, რომელსაც თავის საქმიანობის პრიორიტეტად, არჩეული აქვს ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულება და ისეთი სპეციალობები, რომლებიც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. ჩვენ, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შეგვეძლება გავაგზავნოთ სასწავლებლად რუსთაველი ახალგაზრდები, ხოლო სასწავლო კურსის წარჩინებით დასრულების შემდეგ, ისინი დასაქმდნენ შესაბამისი პროფესიით.

გუნდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ჩვენს ქალაქში. როგორც აღვნიშნე, მე გახლავართ სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი, ეს ჯგუფი აქტიურად მუშაობს ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე და სპორტული კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ ბოლო მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 21 წლიანი ინტერვალის შემდეგ ა/წ 30 აპრილიდან - 3 მაისის ჩათვლით ქ. რუსთაველში გამართული, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კრივში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სხვა სამუშაო ჯგუფებიც აქტიურად საქმიანობენ თავიანთი მიმართულებების მიხედვით .

როგორც მოგეხსენებათ, ჰაერის დაბინძურება რუსთავისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ვმუშაობთ რეგულაციაზე, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქში ეკოლოგიური მიმართულებით მზარდ პოზიტიურ ტენდენციებს და ახალი მიდგომების დანერგვას.

სწორედ ამ მიზნით, საკრებულოში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“ რომელიც ახდენს ქალაქის ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებას და კომპეტენციის ფარგლებში მათ აღმოფხვრას. საკრებულოს 2016 წელს მიღებული აქვს N152 დადგენილება, რომელიც არეგულირებს „ქალაქის გამწვანების საკითხებს. ფრაქციის მუშაობის ფარგლებში, ვაპირებთ ამ დადგენილების დახვეწას, რათა ის გახდეს მყარი ბერკეტი, აღნიშნული საკითხის გასაკონტროლებლად. რაც უფრო გამწვანებული იქნება ჩვენი ქალაქი, მით უფრო ჯანსაღ და ჯანმრთელ გარემოში გაიზრდებიან ჩვენი შვილები.

ბიუჯეტი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან, მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, აქტიურად ვმონაწილეობთ მნიშვნელოვანი პროექტების განხილვასა და უმთავრესი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის ფორმირებაში. პერიოდულად ვისმენთ მერიის სამსახურების ანგარიშს, ვაძლევთ რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ სამომავლო გეგმებს. 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურული განვითარება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, ქალაქის გამწვანება-განაშენიანება და ეკოლოგია. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა და მათ საჭიროებებზე ზრუნვა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების მოსახლეობასთან სისტემატიური შეხვედრები, ყველა იმ პრობლემის იდენტიფიცირებას უწყობს ხელს, რომლებიც პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებული იქნება 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას.

სამხარეო-საკონსულტაციო საბჭო

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში 2014 წლის 4 დეკემბრიდან შექმნილია სამხარეო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო სახელმწიფო რწმუნებულს- ქვემო-ქართლის გუბერნატორს ბატონ გრიგოლ ნემსაძეს იმ თანადგომისათვის და მხარდაჭერისთვის, რასაც ბატონი გიგა და მთელი სამხარეო ადმინისტრაცია იჩენს მუნიციპალიტეტის მიმართ.საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა და სამხარეო-საკონსულტაციო საბჭომ დაამტკიცა ის 7 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც 2018 წლის ბოლომდე განხორციელდება ქალაქ რუსთავში ადგილობრივი ბიუჯეტის 13%-იანი თანადაფინანსებით, სულ საერთო ჯამში ინფრასტრუქტურული პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 9 882 178 ლარს.

ბიუროსა და საკრებულოს სხდომები

საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში,ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა 19 ბიუროს სხდომა და 21 საკრებულოს სხდომა. (რიგგარეშე - 13, რიგითი - 8).

სულ მიღებული იქნა 144 განკარგულება და 53 დადგენილება.

მე და ჩემს გუნდს გათავისებული გვაქვს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც რუსთაველებმა მოგვანიჭეს, ამიტომ ყოველთვის წარვდგებით დეტალური ანგარიშით თქვენს წინაშე. კვლავ დიდ მადლობას გიხდით ნდობისათვის და დიდი მხარდაჭერისთვის.

და მთავარი: საკრებულოს თავმჯდომარე, როგორც ცალკე მდგომი პიროვნება, მარტო ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებდი, რომ არა ის დიდი გუნდი, რომელთან ერთადაც ხშირად ღამეები მითენებია და დასახული მიზნისთვის ერთად მიგვიღწევია, ამიტომ მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს თითოეულწევრს იმ შრომისთვის, რომელსაც ისინი ეწევიან ჩვენი რუსთაველების საკეთილდღეოდ, მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქის მერს, ბატონ ირაკლი ტაბალუას და მთელ აღმასრულებელ რგოლს, სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს ბატონ გრიგოლ ნემსაძეს და რუსთავის მაჟორიტარ დეპუტატებს საქართველოს პარლამენტში ბატონ,გიორგი ბეგაძეს და ბატონ, პაატა მხეიძეს . მათი თანადგომისა და ურთიერთანამშრომლობისთვის. პირობას გაძლევთ, რომ მე და მთელი ჩვენი გუნდი 24 საათიან რეჟიმში მუხლჩაუხრელად ვიმუშავებთ, ჩვენი ქალაქის კეთილდღეობისთვის და სწრაფი განვითარებისთვის.

დიდი მადლობა .